ქ. თბილისში, სოფელი დიღომი ,,ჩალიპირები“ (ნაკვ. ს/კ. 01.72.14.094.820) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილიაქ. თბილისში, სოფელი დიღომი ,,ჩალიპირები“ (ნაკვ. ს/კ. 01.72.14.094.820) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია ჯდენადი თიხნარები საანგარიშო წინაღობით R_0=1,6 კგძ/სმ^2. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-85კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

მშენებარე საპროექტო შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა, სართულიანობა 11 სართული, გააჩნია მიწისქვეშა ავტოსადგომის სართული.

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებულია, რკინაბეტონის მონოლითური ჩარჩოები, მონოლითური სართულშუა გადახურვებით.

საძირკვლის ტიპად წარმოდგენილია მონოლითურ რკინაბეტონის ფილა, ბეტონის კლასით B25. საძირკველი ჩაღრმავების მიხედვით განლაგებულია ერთ დონეზე.

სვეტები, მონოლითური რკინაბეტონის, ცვალებადი კვეთით. ბეტონის კლასით B25.

რიგელები მონოლითური რკინაბეტონის კვეთით 40X50, ფილის სისქის ჩათვლით, ბეტონის კლასით B25.

სართულშუა გადახურვის ფილა, მონოლითური რკინაბეტონის 18 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B25.

კიბეები– მონოლითური რკინაბეტონის 18 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B25.

გადახურვა, ბრტყელი მონოლითური რკინაბეტონის. ბეტონის კლასით B25.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი ,,ჩალიპირები“ (ნაკვ. ს/კ. 01.72.14.094.820) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის კომპიუტერული გაანგარიშება სტატიკურ, დინამიკურ და სეისმურ (8 ბალ) დატვირთვებზე.

ფუძე-საძირკვლებისა და შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემის გაანგარიშება შესრულებულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ,,ლირა“-9.6 გამოყენებით. რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს გადაადგილებებში და მათში გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები СНиП 2,01,07-85*(СП 20.13330.2011) - დატვირთვები და ზემოქმედებები, СНиП 2,03,01-84*- ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, СНиП II-7-81* - მშენებლობა სეისმურ რაიონებში, СНиП II-23-81* - ლითონის კონსტრუქციები.

გაანგარიშებების შედეგად მიღებული მონაცემები შესაბამისობაშია პროექტით მიღებულ მონაცემებთან.

პროექტში ვრცლად არის დაცული საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები. (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს ბრძანება № 3/26, 05. 2002 წ. და 2006 წ. 24. 02 დადგენილება №45). კერძოდ; 1). სნ - წ - 2.02.01. – 83* ,,შენობებისა და ნაგებობების საძირკვლები“. 2). სნ - წ - 2.01.07. – 85 ,,დატვირთვები და ზემოქმედებანი“. 3). სნ - წ - II – 7 – 81 ,,მშენებლობა სეისმურ რაიონებში“. 4). სნ. - წ - 2.03.01. – 84 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“. 5). სნ. - წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85 ,,სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან.“ 6). სნ. - წ - II – 2 – 80 ,,შენობებისა და ნაგებობოს პროექტირებისას ხანძარ საწინააღმდეგო ნორმები.

ექსპერტის შენიშვნები უმნიშვნელოა: განმარტებითი ბარათის რკინაბეტონის კიბის არმირების ნახაზის ფრაგმენტში არ არის მითითებული კიბის სისქე.

დასკვნა: ამრიგად პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კვალიფიციურად, კარგ დონეზე, საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმების დაცვით და რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

დამოუკიდებელი ექსპერტი

საინ. მეც. დოქტორი: **ჯ.ვაშაკიძე**